დაინტერესდით?

გაქვთ დამატებითი კითხვები?

გსურთ, მიიღოთ მეტი ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს და მისი სერვისების შესახებ?

☎ 2 749 649

აღსრულების ეროვნული ბიუროს
საინფორმაციო ცენტრი:
(+995 32) 2 749 649
ელფოსტა: info@nbe.gov.ge

ტერიტორიული ბიუროების მისამართები:

- თბილისი, აღმაშენებლის ხეივნის მე-10 კმ;
- ქუთაისი, იუსტიციის სახლი, ი.აბაშიძის ქ. №20;
- ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №106;
- ბათუმი, იუსტიციის სახლი, ხიმშიაშვილის ქ. № ;
- რუსთავი, იუსტიციის სახლი, მეგობრობის გამზირი;
- გორი, იუსტიციის სახლი, გურამიშვილის ქ. №5;
- თელავი, იუსტიციის სახლი, ერეკლე მეორეს ქ. №3;
- ყვარელი, იუსტიციის სახლი, კუდიგორის ქ. №3;
- გურჯაანი, იუსტიციის სახლი, თამარ მეფის ქ. №15;
- ახალციხე, იუსტიციის სახლი, თამარაშვილის ქუჩა სკვერის მიმდებარედ

აღსრულების ეროვნული ბიურო
NATIONAL BUREAU OF ENFORCEMENT

აღსრულების ეროვნული ბიურო
NATIONAL BUREAU OF ENFORCEMENT

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყავი ინფორმირებული!

ბანსაზღვრე შედები მის დადგომამდე

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

1 რატომ არსებობს აღსრულების სისტემა?

მსოფლიოში არ არსებობს განვითარებული საზოგადოება, რომელმაც შეძლო ძლიერი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა მტკიცე სააღსრულებო მექანიზმების გარეშე. ძლიერი აღმასრულებელი ინსტრუმენტის არარსებობა აზრს უკარგავს ადვოკატის, მოსამართლისა და, რასაკვირველია, თქვენი, როგორც მოდავე მხარის, აქტიურობას – სისრულეში მოიყვანოთ სასამართლოს მიერ თქვენს სასიკეთოდ გამოტანილი გადაწყვეტილება. თუ მხოლოდ მოვალის კეთილ სურვილზე იქნება დამოკიდებული ვალდებულების შესრულება, სამოქალაქო ბრუნვა მკვეთრად იკლებს.

2 ყველა ქვეყანაში სახელმწიფო ახორციელებს აღსრულებას?

მსოფლიოში ამ საკითხის გადასაწყვეტად ორი ძირითადი მიდგომა განვითარდა: პირველი, როდესაც სააღსრულებო უწყება კერძოა, და მეორე, როდესაც უწყება სახელმწიფოა. მაგალითად, საფრანგეთსა და ნიდერლანდებში აღმასრულებლობა თავისუფალი პროფესიაა, შვედეთში კი ამას სახელმწიფო ორგანიზაცია აკეთებს. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, შერეული სისტემა მოქმედებს; ანუ თქვენი უფლების დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსასრულებლად შეგიძლიათ მიმართოთ როგორც აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ისე კერძო აღმასრულებელს.

3 ვინ ვინ არის სააღსრულებო წარმოებაში?

კერძო დავების დროს სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისას გამარჯვებული მხარე, ვის სასარგებლოდაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულება – „კრედიტორად“, ხოლო მხარე, რომელმაც წააგო სასამართლო პროცესი, „მოვალედ“ მოიხსენიება. როდესაც სააღსრულებო წარმოება ადმინისტრაციული ჯარიმის (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, არასწორი პარკინგი, უბილეთო მგზავრობა და სხვ.) აღსრულების მიზნით მიმდინარეობს, ამ და სხვა შემთხვევებში, კრედიტორად სახელმწიფო გვევლინება. სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას მოვალე რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში.

4 რა უფლებები აქვთ კრედიტორს და მოვალეს?

კრედიტორს და მოვალეს – სააღსრულებო წარმოების მხარეებს – უფლება აქვთ:

- გაეცნონ მათი საქმის მიმდინარეობას და მიიღონ საქმის მასალები;
- მიიღონ ინფორმაცია პროცესთან დაკავშირებით აღსრულების მწარმოებელი ორგანიზაციისგან, გარდა კომერციული საიდუმლოებისა და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციისა;
- მიმართონ სასამართლოს აღსრულების გადადების ან პროცესთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესახებ;
- გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედება ასეთი მოქმედების განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში როგორც სასამართლოში, ისე აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან;
- თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მოითხოვონ აღსრულების განწილვადება 12 თვემდე ვადით;
- თუ ჩათვლიან, რომ კონკრეტული აღმასრულებელი დაინტერესებულია საქმის შედეგით, მოითხოვონ აღმასრულებლის საქმისაგან აცილება.

5 ვალის გარდა, მოვალეს სააღსრულებო საფასურიც ეკისრება?

სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად შემოტანისას კრედიტორი იხდის სააღსრულებო საფასურს, ე.წ. საგარანტიო საფასურს, მოთხოვნის 2%-ის (არანაკლებ 50 ლარისა) ოდენობით. თუ მოვალე ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ აღმასრულებლისგან შეტყობინების მიღებიდან 7 დღეში დაფარავს დავალიანებას, მან ჯამში ვალი და დამატებული მოთხოვნის 2% (არანაკლებ 50 ლარისა) უნდა გადაიხადოს. თუ მოვალე მითითებულ ვადებში არ მოახდენს ვალდებულების შესრულებას, მის მიერ ჯამურად გადასახდელი თანხა შეადგენს ვალს და სააღსრულებო მოქმედებების განხორციელების საფასურს – მოთხოვნის 7%-ს (არანაკლებ 50 ლარისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 რა არის მოვალეთა რეესტრი?

მოვალეთა რეესტრი არის ელექტრონული საინფორმაციო ბაზა, რომელშიც რეგისტრირდება ყველა ის პირი, ვის წინააღმდეგაც მიმდინარეობს სააღსრულებო პროცესი, ანუ პირები (იურიდიული და ფიზიკური), ვინც სააღსრულებო წარმოებაში მოვალედ გვევლინება. მოცემულ ბაზაზე წვდომა საჯაროა, რაც უზრუნველყოფს საფინანსო და სხვა ტიპის დაწესებულებების ინფორმირებულობას და მოვალის მიერ თანხის აკუმულაციის შემთხვევაში მისი ამოღების შესაძლებლობას.

7 რა ზოგადი რჩევები უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ გავხდეთ ვალდებულნი?

- უნდა გვახსოვდეს, რომ, როდესაც საფინანსო დაწესებულებისგან ვსესხულობთ თანხას, ყოველთვის იმაზე მეტს ვაბრუნებთ, ვიდრე მივიღეთ;
- აუცილებელია რისკების სწორად გათვლა. დაფიქრდით, არსებობს თუ არა, ან თუ შეიძლება შეიქმნას ისეთი გარემოებები, რაც ვალის დაბრუნებას გაართულებს;
- მოერიდეთ თავდებობას. გახსოვდეთ, რომ, თუ თქვენმა მეგობარმა, რომელსაც თავდებად დაუდექით, ვერ შეძლო ვალის დროულად დაფარვა, თქვენ თქვენი ქონებით ისევე ხართ პასუხისმგებელი ვალის გადახდაზე, როგორც თქვენი მეგობარია;
- მოერიდეთ ჯარიმებს, მაგრამ თუ დაჯარიმდით, ყურადღებით იყავით, არ გაგეპაროთ გადახდის ვადები.

ცხელი ხაზი: 2 749 649

www.nbe.gov.ge